

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №12

ქ.ვანი. თავისუფლების ქ. N 65

14. 07.2021 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, მალხაზ ცერცვაძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, გელა ჩიკვაძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ღვიტიძე. (დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდა: გიგა გოგიბერიძე, კობა ძაგნიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

სხდომა 10<sup>30</sup>-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2021 წლის 14 ივლისის ბიუროს სხდომის დღის წესრიგი

**დღის წესრიგი**

1. საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, საპროექტო იდეების მოწონების შესახებ“

მომხს: /ზაზა ოჩხიკიძე/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2021 წლის 14 ივლისის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -10

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ზაზა ოჩხიკიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, საპროექტო იდეების მოწონების შესახებ“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ პროექტისთვის მერიის მიერ შეირჩა 6 საპროექტო იდეის განაცხადი:

- ა) ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით ზეინდარი (შუაგორა) - ფერეთას ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

ბ) ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით ყუმური-დუცხუნის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

გ) ძულუხის ადმინისტრაციულ ერთეულში აგრობიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

დ) ზედავანის ადმინისტრაციულ ერთეულში აგრობიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

ე) მუქედის ადმინისტრაციულ ერთეულში აგრობიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

ვ) სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -10

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 14 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

საკითხის ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

**ალექსანდრე ლილუაშვილი**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე